საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-10/79

ქ. ბათუმი 26 ივნისი, 2023 წ.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23–24-ე მუხლების, ,,სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,სახელმწიფო სიმბოლოების გამოყენების წესის შესახებ" საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილებით დამტკიცებული „აღმასრულებელი ხელისუფლების, ზოგიერთი საჯარო დაწესებულების ემბლემის გამოსახვის წესის" მე-3 მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-15 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 16 თებერვლის №01-08/6 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბლანკების/შტამპების ფორმებისა და გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 21 ოქტომბრის №01-11/68 ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 11 მაისის MES 5 23 0000533725 კორესპონდენციის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბსუ) სახელმწიფო მნიშვნელობის შემდეგი სიმბოლოები:
   ა) ოფიციალური **კორესპონდენციის/წერილის ბლანკი,** ამ ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად (შედგენილია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილების N5 დანართის შესაბამისად);
   ბ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-**სამართლებრივი აქტის** (ბრძანების) ბლანკი, ამ ბრძანების **N2 დანართის** შესაბამისად (შედგენილია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის №572 დადგენილების N7 დანართის შესაბამისად).
2. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ბლანკების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბლანკების/შტამპების ფორმებისა და გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე „ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2016 წლის 21 ოქტომბრის №01-11/68 ბრძანების პირველი პუნქტი

(ბსუ-ს ბლანკის ფორმის ნაწილში) და ამავე ბრძანების N1 დანართი (დამტკიცებული ბსუ-ს ბლანკის ფორმა).

3. წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული ფორმების ბსუ-ს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში (https://eflow.emis.ge) ატვირთვის მიზნით გატარდეს ერთობლივი ღონისძიებები, საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ და სხვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზება, საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) და იურიდიული დეპარტამენტის მიერ.
4. წინამდებარე ბრძანების გამოცემის შესახებ ეცნობოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტს) და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს.
5. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგონოებს, ფაკულტეტებს, ინსტიტუტებს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ დეპარტამენტს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმის ს. ზუბალაშვილის ქ.N30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

32/35 რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა
6010 ბათუმი, საქართველო
+995 422 27 17 87
info@bsu.edu.ge

04 ნოემბერი 2022

GOV 7 22 0040017

სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

04 აგვისტო 2022

GOV 7 22 0040017